



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93220912

თარიღი:01/04/2022

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14 -ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14-ი განკარგულების დანართში, კერძოდ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას დაემატოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება :

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარში მდებარე (საკ.კოდი:N54.19.60.281) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი) - 6309კვ.მ;
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბანში მდებარე (საკ.კოდი:N54.02.51.725) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი) - 375 კვ.მ;
3. გურჯაანის ყოფილი მიწებში მდებარე (საკ.კოდი:N54.19.57.099) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი)- 50350 კვ.მ.

მუხლი2

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

